ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3984442

ნომერი: AR1602192

თარიღი : 19.05.2018

გაცემის თარიღი : 28.05.2018

გაცნობის თარიღი : 28.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გუდაუთის ქუჩა N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გიორგობიანი პ/ნ 01001015795
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 47

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
-განმარტეთ ინფორმაცია საპროექტო შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებით.
-წარმოადგინეთ არსებული ნაგებობის კანონიერების დამადასტურებელი დაოკუმეტაცია. გაითვალისიწნეთ რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57–ე დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, ან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მითითების საფუძველზე განხორციელდეს უნებართვო სამუშაოების დემონტაჟი და წარმოადგინეთ განახლებული ფოტოსურათები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სათანადო აქტი.
-ფოტომონტაჟზე დაიტანეთ ხე-ნარგავებადმე დაშორეის მანძილები და გაითვალისიწნეთ, რომ ხე-ნარგავების მოჭრა/გადარგვის ან საპროექტო შენობიდან არსებულ ხე-ნარგავებმადე 3 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამსახურის თანხმობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უფლებამოსილი ორგანიზაციის ან/და სპეციალისტის დასკვნასთან (დენდროლოგიური პროექტთან) ერთად ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე მიუთითეთ საპროექტო შენობის მასალა.
-წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა სრულყოფილად და არა ფრაგმენტულად, როგორც არის წამროდგენილი, დაიტანეთ 12.10.2015წ. №2237162 გადაწყვეტილებით შეთანხმებული შენობა-ნაგებობები და მიუთითეთ შესაბამისი ექსპლიკაცია.
-ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერით არ არის ადგილმდებარეობა იდენტიფიცირებული, შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოებით ეხებით შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის“, შპს „მეტალ გრუპის“, შპს „გიო 2010“-ის, შპს „მ-ლაინის“ შპს„ ბარონტი და რისის“ და შპს „ციცინათელა 2008“-ის სარგებლობით აღებულ ფართებს საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მათი სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ან უფლებამოსილი პირები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლად. თუ არ ეხებით მათ სარგებლობაში არსებულ ფართებს განმარტეთ აღნიშნულის თაობაზე მონიშნეთ გეგმაზე სარგებლობით გაცემული ფართები .

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.